ეკატერინე კარგად მოეწყო პეტერბურგში. თვით იმპერატორი ეახლა მისთვის გათოყოფილ რეზიდენციაში, თავაზიანად მიესალა, მოეფერა და იმედებით და დაპირებებით აავსო მოწყალების მაძიებელი დედოფალი.

მეორე დღესვე ეკატერინეს ჩაბარეს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც დაევალა დადანიო ოჯახს ზლიარად ოცდათა ათასი მანეთი ენიშნებოდა, მისი შვილების აღზრდას კი სახელმწიფო იკისრებდა. ეკატერინე მაინც წუხდა. ის მდგომარეობა მაინც არ ჰქონდა, რაც სამეგრელოში. ახლა მისი სამთავროს ბატონი და განმკარგულებელი უცხო ძალა იყო. წუხდა დედოფალი და იმედს მაინც არ კარგავდა.

აი მისი ნიკო, სამთავროს მემკვიდრე, მალე სრულწლოვანი გახდება და ისევ დაიბრუნებს სამთავროს-იმპერატორისგან აღთქმული ეირობის ალაი. ისევ გაიხარებს ეკატერინეს სასახლე, ისევ დააჩოქებს მოწურნეცა და მტერს... ოცაებობდა ეკატერინე და ამ ოცნებით დაიშფოფინა ისევ ჩაება ცხოვრების ფერხულში. იაევ გაიხარა ჯატივნ, დიდებას, თაყვანისცემას მიჩვეულმა დედოფალმა.

რუსეთის იმპერატორის კარზე, ბალებზე, მიღებაზე, სახელმწიფო ცერემონიალებზე კვლავ გამოჩნდა დედოფალი. ოცდაჩვიდმეტი წლის ულამაზესმა ბანდილოთანმა მოხიბლა სასახლის შინაურები და სტუმრები.

იმპერატორის კარზე გამართულ ნადიმებზე ეკატერინეს უზომოდ მოტრფიალე ეპანეთის ჰერცოგი დო სუნა აღარ სცილდებოდა, ერთგულებას ეფიცებოდა, ცოლობას სთხოვდა სათაყვანებელ ქვრივს...

— დედოფალო, ეტყობა, ღმერთს ჩემზე მთლად არ აუღია ხელი, რომ ისევ მეღირსა შეგხვედროდით აქ, პეტერბურგს. გამოგიტყდებით და ვეტყვით, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ გაგიცანით, დავკარგე მოსვენება სულისა. თქვენთვის თვითრად გათენებული ღამეები იყოს თავდეკი, რომ მე ფიქრით და ოცნებით მუდამ თქვენთან ვიყავი, თქვენთან ვიყოფლობდი. არ დაგმალავთ, მადონდში ჩემს იმპერატორს წერილი მივწერე, ერთი წლის შვებულება ვთხოვე. ვფიქრობდი წამოვსულიყავი სამეგრელოში და თქვენთვის ეამებრალებინა თავი, რომ მოსვენებადაკარგულ ჩემს სულს თქვენი კალთის ქვეშ მშვიდობა ენახა. დიახ, ასე ვფიქრობდი და იმის იმედიც მქონდა, რომ ამ საქმეში თქვენი მშვენიერი და ნინო დამეხმარებოდა. ის მეგულებოდა იმედად, მაგრამ, ვაი რომ ჩემი ფფარველი ანგელოზი ნინო უკვე აღარ არის, და ახლა მე თვით უნდა გითხრათ ჩემი სულის აღსარება, დედოფალო!

ეს თქვა ჰერცოგმა, და დაიმზო ეკატერინეს წინაშე. ეკატერინე გაოცდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ დროს თავგზადაკარგულმა დო სუნამ დედოფალს ხელი სტაცა და ლოცნა დაუწყო. ამას კი არ მოელოდა ეკატერინე. ხელი წაჰგლიჯა უიმედო მიჯნურს, მერე უბრძანა:

— ადექით, აბა რასა ჰგავს თქვენი საქციელი. მე აქ შვილებიც, თანა მყავს და ახლობლებიც, და ვინმემ რომ დაგვინახოს, ვის რა უნდა ვუთხრა! ფონს მოდით, ბატონო, და გთხოვთ ნუ მაკეცებთ უხერხულ მდგომარეობაში.

როგორ არ ემუდარა დედოფალს დო სუნა, როგორ არ დაუყვავა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. ეკატერინე უარზე იყო და კვლავ უმტაცებდა ჰერცოგს:

— მე ბევრი მყავდა თაყვანისმცემელი, ბევრი მპირდებოდა მეჯობრობას. ეს მაშინაც ხდებოდა, როდესაც ომის ქარცეცხლში იყო ჩემი სამთავრო და მაშინაც, როცა აჯანყების ალში იყო გახვეული, მაგრამ არც ჭირში და არც ლხინში არ გადამიდგამს ეს ნაბიჯი. ახლა კი გვიან არის.

ეს თქვა დედოფალმა და ოხერით მეორე დარბაზში გავიდა.

* * *

იმ დღეს მეორედ უთხრა ეკატერინემ უარი ესპანელ ელჩს. ახლა კაცები მიუზაგნა. შუამავლებმა შორიდან მოუარეს დედოფალს. რა არ უთხრეს, მაგრამ ვერაფრით ვერ გატეხეს. ეკატერინემ ისევ უარით გაისტუმრა ელჩის მოგზავნილი კაცები. ახლა მოლად გახელდა ჰერცოგი და იმავე დღეს თავათ ესტუმრა. დედოფალს.

— არ მესმის, ასე უწყალოდ რად მკარით ხელი, ჩემო საოცავო. მე დღესა და ღამეს თქვენზე ოცნებაში ვატარებ, თქვენი სიყვარულითა და ტრფიალით ვარ ასე ამაყი და თუ ამ სიყვარულში დავმარცხდი, ალბათ არც ვიესურვებ სიცოცხლეს. გეფიცებით, რომ მართალს გეუბნებით. — ჰერცოგმა დედოფლის წინ კვლავ დაიჩოქა. დედოფალი შეშფოთდა, ჰერცოგის სიტყვები ისეთი დამშვენარი გულით იყო ნათქვამი, რომ შეეცოდა. მერე დაუყვავა:

— ჩემო კეთილო, ამაოდ გაგტეხიათ გული. თქვენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ბრძანდებით და ცხოვრება წინა გაქვთ, ხვალ, ზეგ ჩემზე უკეთეს მეგზედებით და ალბათ მაშინ ასე აღარ იფიქრებთ.

— არა, დედოფალო, ეს ასე არ არის. როგორც განუზომელია ჩემი სიყვარული, ისე დიდია ჩემი თავნებყარეობა. მე უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ თქვენი უარით. და ნუ ეზამთ ამაოს, დედოფალო, ნუ დამტოვებთ ამ მდგომარეობაში, ანგარიში გაუწიეთ თქვენდამი ჩემს უდიდეს პატივისცემას. ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით ერთ ჭერქვეშ.

და ისევ თავი დახარა ჰერცოგმა დედოფლის წინაშე. ეკატერინე წუხდა, ელავდა. ჰერცოგმა განაგრძო:

— თქვენ კარგად იცით, რომ მე არც დიდება მაკლია და არც სახელი, არც მამული და არც სასახლეები. მხოლოდ თქვენი თანაგრძნობა მაკლია და ახლა სასოებით შემრეკეთრთ, დედოფალო. სხვა საუხარი ამ ქვეყანაზე მე აღარა მაქვს. ქონებაც, ხარისხიც, ოცნებაც თქვენს ხარ ჩემთვის, და ნუ მომიშლით ამ ბედნიერებას. თქვენმა ყოყმანმა დამიხშო იმედი, გამიღეთ გულის კარი, დედოფალო.

ჰერცოგმა დედოფალთან ახლოს მიიწია. ახლა კი გონს მოვიდა ეკატერინე და წამოდგა:

— არა, ჩემო კეთილო, მე საყოყმანო არა მაქვს რა, დიდი ხანია მტკიცედ გითხარით ჩემი აზრი. ჩემი უარის მიზეზი უბრალო როდია. მე არც თქვენი ხარისხი დამიწუნებია, არც მამული, არც კაცობა და არც გვარიშვილობა. მაგრამ კიდევ გეუბნებით, ვერ ვიზამ, ვერ ვიზამ ამას, მეორედ არ გავთხოვდები, თუნდაც მეფემ ამირჩიოს საცოლედ. რაკი არ მეშვებით ეტყვით, მე ეორეულ ლანდებს ველაციცები, ჩემი გული ორ კაცს ეკუთვნის — ჩემს კანონიერ ქმარს დავით დადიანს და ჩემს სიყრმის მეგობარს... ამის მეტს ნურაფერს მკითხავთ, და ნურც ნურაფერს მთხოვთ. მე მათზე ვოცნებობ, მათს შესახებდრად ვამზადებ ჩემს სულს და ჩემს სულს ცოდვად ისიც ეყოფა, რომ ამ გარდაცვლილ ლანდებს ორი სახელი აქვს. მესამე მათ არასოდეს მიემატება. მე სიყვარულისათვის, მიჯნურობისათვის ვიყავი დაბადებული და ამ სიყვარულმა დამისამარა ყველა იმედი, გარდა ერთისა...

ახლა ჰერცოგმა იფიქრა, ალბათ ეს ერთი ის არის, ვისაც უარი უთქვამს დედოფლისთვისო, მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ დედოფალმა ისევ განაგრძო:

— მე ახლა ერთი იმედით ვცხოვრობ: ყველა ამქვეყნიური სიამე დავივიწყო და ვიღოცო მათ შესახვედრად. ამ ფიცს არ ვუღალატებ...

დედოფლისა და ჰერცოგის ეს ურთიერთობა ისე გამბაზარდა, რომ თვით გრიგოლ ორბელიანის ყურს მისწვდა დაღესტნის აულებში.

პეტერბურგშიც, თბილისშიც, ზუგდიდშიც იმეამად მხოლოდ ეს ამბავი ჰქონდათ საუბროად. ეკატერინე გულთან არ იკარებდა გათხოვების აზრს, არც ესპანეთის ელჩს იკარებდა ახლო. ჭორი კი არ ცხრებოდა. სწორედ ამ დროს ისეთი დიდი ამბავი მოხდა, რომელმაც მუოფლიო შესძრა და ყველას დააკვიწყა წვრილმანი ამბები.

1859 წლის 25 აგვისტოს დაღესტანი დაეცა. ბარიატინსკიმ შეუპოვარი შეტევით აიღო შამილის უკანასკნელი თავშესაფარი — გუნიბი, და თვით შამილი და მისი ოჯახი ტყვედ წაიყვანა. გუნიბის აღების შემდეგ გამარჯვებული მეფისნაცვალი თბილისს ჩამოვიდა, ხოლო დატყვევებული შამილი პეტერბურგს გაგზავნა. თვთონაც რამდენიმე ხნის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. მთელი მსოფლიო ალაპარაკდა ამ ამბაზე. ალექსანდრე მეორეც დიდი ზეიმით მიიღო ბარიატინსკი. პეტერბურგსა და იმპერიის ქალაქებსა და დაბებში გადამპული ზეიმი და მოლხენა იყო. ნევსკის პროსპექტის მაღაზიები ბარიატინსკისა და შამილის პორტრეტებით აივსო. პეტერბურგის საზოგადოებას ახლა პირზე ბარიატინსკის სახელი ეკერა...

იმ დროს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, რუსეთის ახალგაზრდობა კი დეკაბრისტების კვალზე ცარიზმის წინააღმდეგ ირაზმებოდა. ილია ამ მოწინავე ახალგაზრდობის წრეში მოხვდა. პატრიოტულად გულაგზნებულ ილიას დიდად მოეწონა თვითმმყოფელობის წინააღმდეგ ამხედრებული რუსეთის ახალგაზრდობა და მათს წრეში გულმოდგინედ ჩაება. ჩერნიშევსკისთან შეხვედრებმა და რეოლუციური აზრების მოსმენამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ახალ რუსეთს არა სძინავს და იმ დიდი იდეალებისათვის იბრძვის, რომელთა ეკო აგრე ეხმაურება მის მებრძოლ სულს. ილია 60-იანი წლების რუსეთის ახალგაზრდობის აღელვებულ ზღვაში თავგანწირვით გადაეშვა და მაგრად მოუსვა მკლავი თავისუფლების ნაპირისაკენ. დღე და ღამე „სოვრემენნიკის“ კითხვაში იყო. კითხულობდა და ღელავდა. მის სულში ანთებული ნაპერწკალი თანდათან ღვივდებოდა. ვინც ცარიზმის წინააღმდეგ იბრძვის, ახლა „სოვრემენნიკის“ ახალგაზრდობასთან უნდა იყოს მტკიცედო, — ამბობდა ილია და ქართველ სტუდენტებს ამ დიდ საქმეში აბამდა.

ილიას ქართველი სტუდენტების მთელი ჯგუფი აპყვა და ეს ქართველი ახალგაზრდობის ნაღები ერთიანად „სოვრემენნიკის“ ჯგუფში აღმოჩნდა, ილია ყოველივე ამით აღფრთოვანებული იყო.

... მწერლობით გატაცებული ყრმა ილია, საკუთარ ლექსებს ხშირად უკითხავდა თავის უფროს და ნინოს. ნინოს მოწონებასა და დაწუნებას ილია დიდად აფასებდა. ნინო აღტაცებით უსმენდა ჰოეტ ძმას და აქებდა-და ლექსების წერაში. „ცისკრის“ 1857 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ილიას ლექსი „ჩიტი“. ამ ამბით ყველაზე მეტად ნინომ გაიხარა, ზეპირად დაისწავლა ძმის ლექსი და მთელ ყვარელს მოსდო ეს ამბავი. ეს ის დრო იყო, როდესაც ილია პეტერბურგს გასამგზავრებლად ემზადებოდა...

ილია პეტერბურგში ბეჯითად განაგრძობდა ლექსების წერას და ხშირად სწერდა წერილებს თავის დას ნინოს. ნინომ ამ წერილების პასუხად 1858 წლის ბოლოს ასეთი ბარათი მისწერა ძმას: „აბა სად არის, სად წავიდა შენი ქადილი, სულ მალე ნახავ ჩემს ლექსებს „ცისკარშიო“. რაც შენ წახვედ, სულ ჯფურცლავ ამ ჩვენს „ცისკარს“ და შენი ლექსები არსად ჩანს“... ილია დაფიქრდა, დაღონდა. ახლა უფრო სხვანაირად უყურებდა მწერლობასაც და ლექსსაც, მაგრამ რაკი დის ცნობისმოყვარეობა ასე დიდი იყო, გადაწყვიტა ესიამოვნებინა მისთვის და იმავე დღეს „ცისკარში“ ლექსი გამოგზავნა. იმაღე წლის იანვრის ნომრიდან დაიწყო ისევ ილიას ლექსების ბეჭდვა „ცისკარში“. 18 თებერვლს დას წერილი მისწერა. წერილი ასე იწყებოდა: „ძლივსა დავამარცხე ჩემი სიზარმაცე და როგორც ხედავ, ვწერ წიგნსა“... შემდეგ მოსდევდა:

„იანვრის „ცისკარში“ ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა? აი გინდოდა ჩემი ლექსი გენახა „ცისკარში“ და აგისრულე, თორემ შენ რომ არ გსურვეიოდა, არც ძაგას დავბეჭდავდი, იმიტომ, რომ ჩვენი „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა“.

ილიას ამ ლექსს უცნაური ბედი ეწია. დაეთ დადიანმა „ცისკარი“ 1852 წლიდანვე გამოიწერა და მისი პირველი ხელმომწერი და ხელგამმართველი იყო. დავითის სიკვდილის შემდეგ ოჯახი ნიადაგ იღებდა „ცისკარს“. ეკატერინა ჭავჭავაძესაც, დავითის კვალობაზე, გამოიწერა კერესელიძის ეს ჟურნალი და ყოველ ნომერს პეტერბურგში თვითონაც და მვილებიც დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. და აი ისინი იანვრის ნომერში ილია ჭავჭავაძის გვარს წააწყდნენ. აკამდე ილიას არ იცნობდნენ. დედოფალი დაინტერესდა თავისი გვარის კაცით. ლექსს ბოლოს მიწერილი ქონდა: „პეტერბურგი“, მოიკითხეს, მოძებნეს ილია ჭავჭავაძე და მოკგვარეს დედოფალს.

ილიას დიდად მოეწონა დედოფალი და მისი შვილები. რაზე არ ილაპარაკეს, რა არ მოიგონეს. მერე საუბარი „ცისკარზე“ ჩამოვარდა.

— იანვრის ნომერში დაბეჭდილი ლექსიც ხომ თქვენი ლექსია, ბატონო ილია?

— დიახ, ჩემი გახლავთ, — დარცხვენით უთხრა ახალგაზრდა სტუდენტმა.

— დიდად მეამა, ჩვენს გვარში ერთი პოეტი კიდევ დაბადებულა. მე ძალიან მოყვარს ლექსები და დიდი პატივისმცემელი ვარ პოეზიისა.

— გასაგებია, დედოფალო, აღელვებულხარ ჭავჭავაძის ასული რომ პოეზიის მოყვარული იყოს, აბა რა არის აქ საკვირველი.

— არა, მარტო იმიტომ კი არა, რომ ძამიაკი პოეტი იყო. მე ბავშვობიდანვე პოეზიით ვიზრდებოდი. იცნობთ გრიგოლ ორბელიანს? ან ის გვაღებივრებდა მე და ჩემს დას ნინოს ლექსებით. პოეტები ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ, — აქ უნდოდა ტატოს ეთქვა, ოაგრამ თავი შეიკავა და იაევ გაბაჯრძო:

— მე თითქმის ზეპირად ვიცი მამაჩემის ყველა ლექსი.

ეკატერინემ ხმამაღლა წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგრის ტბა“. დედოფალი აღფრთოვანებით, გატაცებით კითხულობდა. ილია ეაოცებული შეხცქეროდა ამ ქალს და ვერ გაეგო მისი მღელვარებისა და აღტაცების მიზეზი.

დიდად ეამა ილიას ეკატერინესთან საუბარი და მთელი საღამო ლექსებზე, ქართველ პოეტებზე და ჟურნალებზე ლაპარაკობდნენ. დაღამდა. ილია შინ აღტაცებული და გახარებული დაბრუნდა.

ილია კარგად იცნობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს. ყველაზე ხშირად „ცისკარში“ მისი ლექსები იბეჭდებოდა. ილიას მოსწონდა ეს ლექსები და ზეპირადაც იცოდა, მაგრამ ახლა ეკატერინემ სულ სხვანაირად წარმოუდგინა პოეტს პოეტი. იმავე საღამოს ილიამ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსს ეპიგრაფად პუშკინის სიტყვები წაუმძღვარა.

ილიას დაწერა ლექსი და გადაწყვიტა მეორე დღესვე „ცისკარში“ გაეგზავნა. მაგრამ გადაიფიქრა — დედოფალმა მეტისმეტად მღიქნელობამი არ ჩამომართვასო, და სხვა ლექსები გაუგზავნა „ცისკარს“. მალე კიდევ დაიბეჭდა ილიას ლექსები „არაგვი“, „ელეგია“, „გაზაფხული“, „ალბომში“.. დედოფლის ოჯახში ამ ლექსებს ყოველთვის დიდი ცნობისმოყვარეობით კითხულობდნენ. მათს თვალში ილია ერთბაშად გაიზარდა როგორც ნიჭიერი პოეტი და ახალგაზრდა მამულიშვილი.

ეკატერინე ილიას უკვე თავისუფლად უმეკლოვნებდა გულის ხვაშიადს, ოჯახის გეგმებს, უყვებოდა წარსული ცხოვრების ამბავს. ასე შეეჩვივნენ ეკატერინე და მისი ოჯახი ილიას. მერე სწორედ ის იყო, რომ ბავშვებმა ილიას ბარათაშვილის ლექსების რვეული აჩვენეს, ეკატერინე ასე სასოებით რომ ინახავდა, როგორც პოეტისაგან მოძღვნილ უძვირფასეს ნივთს.

ილიას ბარათაშვილის „ბულბული ვარდზედ“, „რად ჰყვედრი კაცსა“ და კიდევ რამდენიმე სატრფიალო ლექსი წაკითხული ქქონდა გიორგი ერისთავისეულ ჟურნალ „ცისკარში“. მაგრამ ეს რვეული სულ სხვა აღმოჩნდა. ამ რვეულში სულ სხვა რამ ნახა, სულ სხვა რამე იგრძნო...

გაოცდა ილია, ხელნაწერი ისევ ხელთ აიღო, ფურცლავდა, სულმოუთქმელად კითხულობდა. და ასე ერთი სულის მოთქმით წაიკითხა „ბედი ქართლისა“. არა, ეს რა იხილეს მისმა თვალებმა, ეს რა პოეტი ჰყოლია საქართველოს! იკითხა და იკითხა ლექსები, ვიდრე საღილად არ მიიწვევდნენ.

ილიამ ეკატერინესთან ერთად ისადილა. მაგრამ მისი თვალი და ყური ისევ რვეულისკენ იყო მიპყრობილი. მოერდა, ვერ ჰკითხა, საიდან მოხვდა ეს რვეული ეკატერინეს ხელში. ისადილეს თუ არა, ილიამ ისევ ხელთ აიღო ბარათაშვილის რვეული და ახლა იქიდან ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირად“ გადაიწერა.

მთელი ღამე არ ეძინა ილიას. იმეორებდა ღრმად შთაბეჭდილ სიტყვებს „არც კაცი, ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“.. ჩვენი სირცხვილი, რომ აქამდის არ ვიცნობდით ამ კაცს! სად იყო აქამდის ეს კრებული! ასეთი კაცი გვყოლია და არა თუ ვერ მოგვივლია მისთვის, არამედ მისი ლექსებისთვის პატრონობაც ვერ გაგვიწევია!

— დიახ, დიახ, აკი კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს... მაგრამ ვაი რომ ერთი კაცი კი არა, მთელი საქართველო მკვდარსა ჰგავს, ცოცხალმკვდარს, მიძინებულს. უნდა გავაღვიძოთ ხალხი საღათას ძილისაგან. უნდა შევეუძახოთ, ფეხზე წამოვაყენოთ. არა, ახლა არ არის ძილის დრო, არც განცხრომისა და ნებივრობას დროა. ახალგაზრდა კაცს ახლა ხელთ ვარდი კი არ უნდა ეკავოს, რომ გაშმყარალი სატრფოს გული მოიგოს, არამედ თოფს და ხმალს უნდა იქნევდეს, უნდა იბრძოდეს. ბრძოლა და ბრძოლა, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა, — აი რა მართებს ჩემი თაობის კაცს დღეს. კაცი ქვეყანაზე იყოს და არ ზრუნავდეს ქვეყნისათვის, ხალხისათვის, ის რა კაცია...

იმ კვირას ილია ისევ ეტყუბრა ეკატერინეს. დედოფალი შინ არ დაუხვედა. სამაგიეროდ მისი ბავშვები შემოვეგებნენ გახარებულნი. ილიამ ისევ მოატანინა ის რვეული, შიგ ჩარგო თავი და შემდეგ მთელი დღე მოანდომა მის გადაწერას. გადაწერა და მოისვენა, დაცხრა მისი მღელვარე სული. არა, კი არ მოისვენა, თავისთავთან ბაღიგულა ეს ლექსები და ამით ინუგეშა თავი. გადაწერილი ლექსები სასოებით ჩაიდო უბეში, ბავშვებს გამოემშვიდობა და შინ წამოვიდა.

ამ ოსვენებმა დაეკარგა ახალგაზრდას. არა, ლექსები როგორ არ წაეკითხავს, რანაირი ხელნაწერი რვეული არ უნახავს, მაგრამ ამის მსგავსი რამ არსად ამოეკითხავს. ამ გაყვითლებულ ფურცლებს რამდენი საიდუმლო შეუნახავს ადამიანის სულისა! დიახ, ეს რვეული სულ სხვაა. ბარათაშვილის სულის სიდიადე, ამ პატარა რვეულას ფურცლებზე აუბეჭდილი, ახლა აქ, შორეულ პეტერბურგში არ ასვენებდა ქართველ მამულიშვილს. ეკატერინეც რომ ასე ჯანიცდის ამ რვეულის სულს! ეს რაღა იყო, ბავშვებმა ერთი ღამითაც რომ არ მათხოვეს, დედა გაგვიჯავრდებაო.

ილიამ რა იცოდა, რომ ეს რვეული ეკატერინესათვის ახლა ყველაფერი იყო. ამ რვეულში ჩარჩენილი ბარათაშვილის მხურვალე გული უცხო ქვეყანაში ისე ათბობდა ეკატერინეს გაცივებულ სულს, როგორც მოგიზგიზე ბუხარი. საოცარი ცეცხლის ნაპერწკლები ანათებდა ამ უცნაური რვეულის ფურცლებს.

ილია სათუთად შეეხო ამ ცეცხლოვან რვეულს და მის სულშიც გადმოიღვარა ეს საოცარი სითბო წინაპარი პოეტისა. პოეტმა პოეტის სულში ღრმად ჩაახედა და გაოცდა. ჯონების თვალით წარმოიდგინა წინაპრის ტრაგედია და უკვირდა როგორ დატეულა პოეტს ეს დიდი სული და განუზომელი ტრაგედია ამ პატარა რვეულში?

ჯონების თვალით ისევ ფურცლავდა ნაცრისფერ ფურცლებს, კითხულობდა გარკვეული, ლამაზი ხელით დაწერილ, დაწერილ კი არა, ჩახატულ სტრიქონებს და უკვირდა, როგორ იტეოდა ეს სიფრიფანა ფურცლები ამ დიდ აზრებს, უსაზღვრო სევდასა და ოცნებას. შიგ ქუხილიც იყო, ელვაც, წვიმაც და ქარიც...

ილიამ ყოველივე ეს წარმოიდგინა და უცბათ თითქოს ისევ ქუხილი მოესმა, დაიგრგვინა და საქართველოს ზეცა ელვამ გადაკვეთა, ეუტუნა წვიმა წამოვიდა, გვალვა უკუდგა, გაიხარა საქართველოს ბუნებამ. ისე გაიტაცა ამ ფიქრმა, რომ ადგა, ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაიხედა. გარეთ კი, პეტერბურგის ქუჩებში წვიმდა, გადაუღებლად წვიმდა, ოღონდ ამ სიბნელეში არც ზეცა ჩანდა და არც ქუხილი ისმოდა. ფანჯარა დახურა, ფარდები ჩამოუშვა, დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა საქართველოს ბედზე, ბარათაშვილის ბედზე დაფიქრებულ და ღაღონებულ ჭაბუკს.

ილიას იმ ღამესაც არ უძინია, ბორგავდა, შფოთავდა. მერე ადგა, თავის საწერ მაგიდას მიუჯდა და ქაღალდზე ბარათაშვილის სტრიქონები ჩამოწერა.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულისკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ამ სტრიქონებს ქვეკვეთ ნ. ბარათაშვილი მოაწერა. მერე ერთბაშად მოუნდა თავისი საკუთარი ლექსით გამოხმაურებოდა ამ სტრიქონებს. ადგა, დიდხანს ბოლთასა სცემდა, მერე ისევ მიუჯდა მაგიდას და ლექსი დამთავრა:

ვაი, დაგკარგეთ!.. ულვთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით ჯერ უთქმელი ჩვენ ჩაგვესვენა?..

არა დედ-მამა —მაგ სიკვდილით დაობლდა ერი,
ვინღა მოგვითხრობს ჩვენი ტურა, ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თორემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენ.

ილიამ თითქოს ამით თავის მოზღვავებულ შთაბეჭდილებას სარჭველი ახადა და მშვიდად ამოისუნთქა. გადაიკითხა ლექსი და გადაწყვიტა დასაბეჭდად გაეგზავნა. ერთადერთი ჟურნალად კი „ცისკარი“ ეიფლებოდა, რომელსაც არ ეთანხმებოდა პოეტის სული. მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მეორე დღეს ილიამ ქართველი სტუდენტები: ნიკო ღოღობერიძე, კოტა აფსახი მოიხმო. და უკითხავდა, უკითხავდა ბარათაშვილის ლექსებს. ბორგავდნენ, ადგილზე ვერ ისვენებდნენ, დაობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ სიტყვას ახალგაზრდები და მაინც ვერ მოეოხეს გული. ბედი ქართლისა, ახლა ბარათაშვილის მსგავსად გულს უწყლულებდათ, სულს უკოდავდათ ქართველ სტუდენტებს, და ეძებდნენ, ეძებდნენ პასუხს...

— ეს მართლაც რა შავად მღელვარე ფიქრებია, რა თავანწირული შეერძოლებაა ბედთან, ეს რა ქარიშხალია აქ დატრიალებული, ერის გულიდან ამოვარდნილი, ნამდვილი ქარიშხალი, პოეზიის ქარიშხალი!..

1859 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძე ავად გახდა. 10 ივნისს ეკატერინეს შეატყობინეს მისი ავადმყოფობა. ამ დროს დედოფალი ცარსკოე სელოში ცხოვრობდა და ბრძანა ილია მასთან ჩაეყვანანთ. ავადმყოფი ილია აქ თავის ბინაში მოათავსა და თავზე ალექსანდრე მეორის პირადი ექიმი ნიკოლოზ არენდტი დააყენა. ილია სულ მალე გამოკეთდა.

გამომჯობინდა თუ არა, ილიამ საქართველოში გამოსწია. ის ზაფხული კახეთში გაატარა. განკურნებულმა და დასვენებულმა სტუდენტმა იმავე წლის შემოდგომაზე იაევ პეტერბურგს მიაშურა.

გრიგოლ ორბელიანი იმავე წლის 20 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისს. როცა პეტერბურგიდან თბილისს მომავალი გრიგოლ ორბელიანი მლეთთან ყაზბეგის თავდამართზე ეშვებოდა, თბილისიდან გამოსული ილია მლეთის აღმართს მიპყვებოდა. აქ ჭავჭავაძე და ორბელიანი ერთმანეთს შეხვდნენ.

ილია ცნობისმოყვარეობით დააკვირდა გრიგოლ ორბელიანს და იცნო. გიმნაზიაში სწავლისას რამდენჯერმე ენახა. მისი სახე ღრმად აღბეჭდოდა, და აი ახლა საქართველოს ამ სასიქადულო კაცს ისე ჩაუარა პეტერბურგში მიმავალმა სტუდენტმა ილიამ, რომ ორბელიანს არც კი მოუხედავს მისკენ.

გრიგოლ ორბელიანს მხრებზე გენერლიდ ვარსკვლავები უბრწყინავდა. ილიამ ისევ შეხედა სასიქადულო მამულიშვილს და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე დასჯილი პოეტი მოაგონდა...

ილია ზვიადან მოკრძალებით დაპკურებდა მლეთის დაღმართისაკენ დაშვებულ გენერალს, აკვირდებოდა და ღმერთაკაცად სახავდა. თავისი თავი კი პატარა კაცად წარმოედგინა. მაშინ რას იფიქრებდა ეს ახალგაზრდა, რომ კიდევ 10-12 წელი გაიკლიდა და გენერლის ჩინით დამშვენებულ ორბელიანს ბრძოლაში გამოიწვევდა.

თბილისიდან დაბრუნებული ილია ისევ ეწვია ეკატერინეს. ეკატერინემ დიდად გიხარია ილიას მოსვლით. „ცისკარში“ უკვე დაბეჭდილი იყო ილია ჭავჭავაძის ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძეს“ და ამით განსაკუთრებით იყო ნასიამოვნები დედოფალი. ბავშვებს უკვე ზეპირად ეცოდნათ ლექსი და ერთმანეთს ეციცებოდნენ მის წაკითხვაში.

ილიამ შეატყო, რომ ეკატერინეს რაღაც სათქმელი ჰქონდა და თავს იკავებდა. შეატყო ესა და უთხრა:

— თქვენი აზრი, დედოფალო, დიდად საინტერესოა ჩემთვის.

— ბატონო ილია, არ დაგიმალავ და გეტყვი, ლექსი მომეწონა. იგი მამაჩემის ლექსებისა და ბავშვის ჯაფლის პირუთვნელი და მართალი შეფასებაა. მაგრამ გულწრფელად გეტყვი, რომ ეგა თქვენი ლექსისა ისეთივეა, როგორიც ჩვენებური გლეხისა: ჩვეულებრივი, მარტივი, სადა სასაუბრო. ეს ენა, ჩვენს ენასაც, ჩვენს მწერლობასაც. ჩვენთვის მაგალითი რუსთაველისა ეკვა. რუსთაველი ქართველი ხალხის ენა ყოფილა. ეს ენა ... ძაგრა გულისა, სასიამოვნო ქროლვა სულისა... ამ ... ველი შვიდი საუკუნის შემდეგ ისევე გასაგებია ჩვენთვის, როგორც მის თანამედროვეთათვის იყო.

ულმობლად უნდა შეეებრძოლოთ, ვინც ჩვენს პოეზიას გზას უბორკავს ხელოვნური ენით, უსულგულო, უსურნელო ყვავილებად ქცეული ლექსებით. მე ამ ყალბი გრძნობით მტირალი და წარპლიანი მწერლებისა არაფერი მომწონს, არაფერი მჯერა... ვის რაში სჭირდება ასე განგებ დასლართულად წერა. „ცისკრის“ ოქტომბრის ნომერში ხომ წაიკითხეთ, დედოფალო, ონიკოვის დარდები?

— როგორ არა, წავიკითხე და დიდადაც გავიხარე. და მეც იმას მოგახსენებთ, რომ სწორედ გრიგოლ ორბელიანია ჩვენი პოეზიის შთაგონება და მაგალითი. ბატონო ილია, გრიგოლ ორბელიანი და მამაჩემი სხვანაირად წერდნენ, თქვენ სხვანაირად წერთ.

— შეიძლება, ქალბატონო, თქვენ მართალი ბრძანდებოდეთ, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მთელს ევროპაში და რუსეთში ცდილობენ გაამარტივონ თავიანთი ენა. ჩვენც უნდა მივბაძოთ ევროპის მაგალითს. ამით ძწერალსაც გაუადვილდება წერა და ბავშვებსაც სწავლა.

პოეზია უთავბოლოდ გადაბმული რითმების ჯაჭვი კი არ არის, გასხივოსნებაა ბეშმარიტებისა, ცხოვრებისა. „ცისკრის“ უნიჭო პოეტები კი რითმების რახარუხს სწერავენ აზრსა. თუ წაიკითხეთ, დედოფალო, თავად რეგაზ ზალვას-ძე ერისთავის კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანი, დამეთანხმეთ, რომ თავადი ერისთავი ენას ნამდვილად ბარბაროსულად ეექცევა. ორბელიანის ლექსში კი დიდი პოეზიაა. იქ თვალწინ წარმოგიდგებათ სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. რამდენი ბეშმარიტება და გულწრფელობაა მის წმინდა ქართულ, პოეტურ დარდიმანდობაში, კვნესაში და ნატვრაში. განა ასევე არ არის ბარათაშვილის ლექსებში?! მართლა, ახლა გამახსენდა, დედოფალო, ალბათ თქვენ თუ მიაწოდეთ „ცისკარს“ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ და ახალი ლექსები — „ფიქრი მტკვრის პირას“, „მერანი“. მე ეს ლექსები პირველად თქვენს რვეულში წავიკითხე და როცა „ცისკარში“ დაბეჭდილი ვნახე, ფრიად გავიხარე. თქვენი დიდი პატივისმცემელი დავრჩები, თუ სხვა ლექსებსაც გაამეტებთ და გაუგზავნით ბატონ კერესელ

ქართული ცირკი ვარშავაში

ვარშავა, 15 ივლისი. (საკდესი). ვარშაველთა დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულმა ცირკმა, რომელიც საგასტროლოდ არის ჩასული პოლონეთის დედაქალაქში. დამსახურებული ტაშით აჯილდოებენ მაყურებლები პროგრამის ყველა ნომერს, რომლებშიც შერწყმულია მოქნილობა, გამბედაობა და ოსტატობა. ასეთ შეფასებას აძლევს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ საბჭოთა ცირკის მსახიობთა გასტროლებს ვარშავაში.

მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია ვეფხვების წვრთნის მაღალმა კლასმა. რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ალექსანდრე ალექსანდროვ-ფედოტოვი, პოლონეთის პრესის აზრით „როგორც უნდა ისე ათამაშებს ვეფხვებს“. მკუხარე ტაშით აჯილდოებენ მაყურებლები საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს სანდრო დადეშქელიანს, რომელიც ფეხით ხსნის ბოთლებს, ანთებს ასანთს, ხატავს, ისვრის პისტოლეტს და სხვ.

ყველა ნომერზე, წერს გაზეთი „ექსპრეს ვეჩორნი“ ქართველი მსახიობები გვიჩვენებენ მაღალი კლასის ოსტატობასა და ხელოვნებას. მთლიანად ეს მდიდარი, საინტერესო პროგრამაა და საკვირველი არ არის, რომ ყოველდღე ცირკის სალაროსთან დგას წარმოდგენების ნახვის მსურველთა გრძელი რიგი.

მოკლედ

△ მახარაძე. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ფართოვდება რაიონის სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი ამ დღეებში ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა საფფთიაქო მაღაზია.

△ ბიაფურა. (საკ. კორ.). სოფელ ზოდში გაიხსნა ახალი ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა. სადაც მოთავსდა სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა. შენობაშია 400-ადგილიანი კლუბი, ოთახები საწრფო მუშაობისათვის, სასოფლო ბიბლიოთეკა, ფოსტა, შემნახველი სალარო, საპარიკმახერო, სამკერვალო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო და სხვ.

ზოდელმა მშრომელებმა შენობა საკუთარი სახსრებით აიგეს.

გიგანტური ლაქა მზეზე

ვლადივოსტოკი. 15 ივლისი. (საკდესის კორ.). გიგანტური ლაქა გაჩნდა მზის აღმოსავლეთ ნაწილში, ლაქის დიამეტრი დედამიწის განივკვეთს აღემატება. ამას იუწყებიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შორეული აღმოსავლეთის ფილიალის უსურის მხარის მზის სამსახურის ლაბორატორიის მეცნიერი მუშაკები.

ლაბორატორიის გამგემ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჩისტიაკოვმა თქვა, რომ ლაქა აღმოაჩინეს სადგურის დიდი ტელესკოპით და იგი დაახლოებით კიდევ 10 დღეს გამოჩნდება.

შორეულაღმოსავლეთელმა მეცნიერებმა რამდენიმე დღით ადრე (8 ივლისს) რადიოტელესკოპის საშუალებით შეამჩნიეს დიდი ამოფრქვევა მზეზე. დღეს მათ აღრიცხეს რამდენიმე მზის პროტუბერანცი, რომლებიც მზის ქრომოს ფეროს თავზე 80 ათას კილომეტრზე ადიან.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მზის აქტივობის ახალ ფაზაში დადგა პერიოდი, როცა ლაქებმა გამოჩენა იწყეს მნათობის სამხრეთ ნახევარსფეროზეც.

ამინდი

გუშინ დღისით დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში აღნიშნული იყო წვიმა და ელჭექი. ეროგორ მაქსიმალური ტემპერატურის უჩვენებდა თერმომეტრი: თბილისში, გორდაბანში — 30, გაგრაში, თელავში — 28, სოხუმში — 25.

დღეს ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში იქნება 23-28 გრადუსი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში იქნება 28-33 გრადუსი, თბილისში საღამოს საათებში მოსალოდნელია ელჭექის ხასიათის ხანმოკლე წვიმა, ტემპერატურა 30-32 გრადუსი.

ნიანგი

სტუმრად „კომუნისტის“ ფურცლებზე

როგორც ხედავთ, ჟურნალი „ნიანგი“ ჩვენი გაზეთის არცთუ იშვიათი სტუმარია. აი იგი ამჯერადაც გვეწვია. ჟურნალის ის ნომერი, საიდანაც ამოღებულია ქვემოთ გამოქვეყნებული მასალები, მეთოთხმეტე იქნება და მკითხველები მას ერთი კვირის შემდეგ მიიღებენ.

ხუმრობა კი მიყვარს, მაგრამ „კომუნისტის“ ფურცლებზე სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობაო, ამბობს „ნიანგი“, და ახალი ნომრიდან რამდენიმე შერჩეულ მასალას წინასწარ სთავაზობს ჩვენს მკითხველებს.

წერილი ტყიდან

ჩემს ცოლ-შვილს — ჩემი სალამი,
ნახვის ნატვრით და კოცნითა,
ცოტაც და ოჯახს ავავსებ
ხე-ტყით, შეშით და ხორცითა.
მესამე თვეა, ტყეში ვარ,
ვიცავ ფლორას და ფაუნას,
ჩემს უკითხავად აქ კაცი
ფეხს ვერ დაადგამს მუაუნას.
თოფი მაქვს, თავს მირჩევნია,
წერტილში ვურტყამ ხამიზნებს,
გუშინწინ შველი მოვკალი,
ას ორმოცდაათ ნაბიჯზე.
აქ კაცი კაცი გახდება,
თუ გამოიჩენს მარიფათს,
თვით რომ ჭამს, სხვებსაც თუ
აჭმევს,
— უ ყველა არი ბარიბარს.
თქვენ მხოლოდ ერთი შემიტყეთ,
სოფლად ვინ უფრო ღირსია,
შეშა ვის უჭირს, ან ხე-ტყე,
ნადღზე, უნდათ თუ ნისიად?
დანარჩენს მე მოვაგვარებ,
რაკი ტყეში ვარ გაჭრილი,
ტყუილად ხომ არ დაედევარ,
ქამარში ნაჯახგაჩრილი.
ერთსაც გეხოვთ: საჭმელს ნუ
გზავნით,
სურსათი აქაც კი არი,
ჯიხვი და არჩი მეყოფა,
ხორცი აქვთ მარილიანი.

გრ. ჩიქვილაძე.

ქარაგმული ნაკვეთები

◆ გამფულანგველმა შვილიშვილს ავარაკი აუშენა და — საშვილიშვილო საქმე გვაკეთეო.

გამყიდველმა თქვა, ზონაში დაკლებისათვის სპორტსმენს აქებენ, მე მამატომრებენო.

შ. ბიკაუშვილი.

◆ მშენებელს ჰკითხეს: არსაკიძეს რატომ მოსჭრეს მარჯვენა და — „ნარიანების“ შედგენა არ იცოდაო.

ლოთ მონტიორს ჰკრთხეს, რა საერთოა შენსა და ელექტრომრცხმელს შორისო და — სამუშაო საათებში ორივე გამორთული ვართო.

გ. ნოზაძე.

◆ ეჭიმი ავადმყოფის მიღებაზე ფულს იღებდა და სინდისზე — ხელს.

მშენებელი ჯერ ცუდ სახლებს აგებდა, მერე პასუხს.

რაზმელი დამნაშავის დაკავების მაგივრად თავს იკავებდა.

ლ. ჯანელიძე.

ეუადღე — კონცერტი

რაიონის მოწინავეთა თათბირზე გვისაყვედურეს, ქარხანაში კულტ-მასობრივი მუშაობა ჩაშლილიაო. სასწრაფოდ მოვიწვიეთ თათბირი, გადავწყვიტეთ გრანდიოზული კონცერტი გაგვემართა, მაგრამ დიდი დავა ატყდა იმაზე, თუ რა დროს უნდა დანიშნულიყო ეს კონცერტი.

— ვიპოვე გამოსავალი! — თქვა მოსარაგების უფროსმა, — შუადღისას გავმართოთ კონცერტი!

— გაგიჟდი?! — წამოხტა მთავარი ინჟინერი. — ხალხი სამუშაოს მოვაწყვიტოთ და ტაში დავაკვრევინო?

— პირველნი ჩვენ ვიქნებით და მერე ჩვენს გამოცდილებას სხვებიც გადაიღებენ!

მეორე დღეს ხალხი დილიდანვე გაემართა კლუბისკენ. კლუბის გალერეაზე ოთოფიანი კაცი დაადგა გამოსასვლელში.

— ვის ვესროლო? — იკითხა მან.

— ვინც კონცერტის დამთავრებამდე დატოვებს დარბაზს!

შემდეგ ფანჯრები დალურსმნეს, რომ არავინ გადამხტარიყო. კონცერტის დაწყების წინ ორკესტრმა „თინას ქაყვდა მამალი“ დაუკრა. შემდეგ ფარდა გაიხსნა და პროგრამის წამყვანი გამოვარდა სცენაზე.

— მამალმა თქვა, მე მიყოვლია თუნდ გათენდეს, თუნდ არაო! — თქვა მან.

— კურდღელმა თქვა, ჩარგაში ვზიავარ, ვერავინ მოვა ჩემზედაო! — დაიძახა მეორემ.

— აქლემმა თქვა, რომ არ დამაჩოქებენ, ჭიკანასა აციდებდაო!

— თქვა ისევ პირველმა.

— კამეჩმა თქვა, ჭიკანის დანგრევისა რომ არ მეშინოდეს, ისე გავიქეცი, ფრინველიც ვერ დამეწვიოო!

— ვირმა რა თქვა, ვირმა?!

— დინტერესდა ერთი მაყურებელი.

— ვირმა ლაპარაკი არ იცის! — უპასუხეს მას, და კულისებში ისევი ოვაცია გაიმართა, ყველაზე ტემპერამენტიან მაყურებლს შეშურდებოდა. როგორც კი ტაში მიწყნარდა, რეპრიზუკმბორი ალაპარაკდა: „ჩვენი ქარხნის მოწინავე მუშებო და მოსაშაბუტრებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო და შეგირდებო, უფროსებო და მოადგილეებო, ექიმებო და ჯადმყოფებო!“.

— თქვი, შე უპატრონო, რა ვინდა?!

— ხვალ ხელფასებია და ორმოცდაათი კაპიკის გადახდა არ დავავიწყდეთ!

— განგაგრძობთ კონცერტს: „ცხელა და ცხელა, პაპანუბაა“. ლექიკი არ გვახსოვს ვიცია, ზეიკითხავს სამლებრო საამქროს ბუჭალტერი მორანგულ“ მანაგაძე.

ბუჭალტერს საერთოდ არაფერი ეშლებოდა, მაგრამ ამჯერად ოთხსტროფიანი ლექსი სამჯერ შეეშალა.

— მხატვრული სტენენა! — ჯამოაცხადა პროგრამის წიმყვანმა. სცენაზე გამოვიდა მხატვარი და სტვენა დაიწყო.

— ცეკვა „შიგადამიგ“!

ეს ცეკვა „განდაგანას“ ჯიბრზე მოუმზადებია რეჟისორს. სცენაზე ქალი და კაცი დადიოდნენ და შიგადამიგ ცეკვავდნენ.

— შემდეგ საცირკო ნომერი მიერულდა. ხალხი დარბაზიდან სცენაზე სტენდა და შემსრულებელს დასდევდა. კონცერტს ისეთი წარმატება ხვდა, რომ მაყურებელმა კლუბი დაანგრია. ახლა კლუბი აღარა გვაქვს და აღარც არავინ გვისაყვედურებს, ქარხანაში კულტმასობრივი მუშაობა ჩაშლილიაო.

გ. მახვილაძე.

ოქროს თევზი და მეგადური

— კიდევ რას მთხოვ?

— ახლა დინამიტიც მაშოვნინე! (სურათზე — მარცხნივ).

ნახ. დ. ზარაფიშვილისა.

• • •

— ტყისმცველმა არ მოგვისწროს!

— დაბმული მყავს! (სურათზე — მარჯვნივ).

ნახ. მ. აბაშიძისა.

— ვერ მიგვასწავლი კუდიგორის გზას?

— რატომ ვერ, ძამო, მაგრამ, ტყე აღარ არის და!

ნახ. ჯ. ლოლუასი.

ქროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოკორესპონდენტი დ. ედაქალაქიშვილი

უნგრული რაფსოდია

ლონდონი, 16 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ამრიგად, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში მობდა პირველი სენსაცია, მერე როგორ სენსაცია: ლიგერპულში უნგრელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს მსოფლიოს ჩემპიონები — ბრაზილიელები 3:1.

ლივერპული, 16 ივლისი. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ნ. კისელიოვი, ა. კაჩალოვი, ვ. ჩუქსმეკი). ჯადოქარმა უნგრელებმა შესძრეს ბრაზილია! ამ მატჩმა გადაარჩინა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პრესტიჟი. ამ მატჩის დროს ლივერპულის სტადიონზე მოსულმა 60 ათასმა მაყურებელმა დაინახა ყველაფერი, რასაც თანამედროვე ფეხბურთისაგან მოელოდა. ასეთი შეხვედრის გაცდენა არ შეიძლებოდა. მისი გულისთვის ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებიდან ირლანდიის ზღვის ნაპირზე წამოვედით და არ ვნანობთ, რომ მატჩებელში უძღები ღამე გავატარეთ.

დილითვე წავიკითხეთ გაზეთში: „შესაძლოა, რომ პელე გააცდენს დიდ თამაშს“ (ხუთშაბათს მას ვარჯიში არ შეეძლო, თუმცა შესაძლებელი იყო, რომ თამაშში მონაწილეობას მიიღებდა). მაგრამ ბრაზილიის ნაკრები იძულებული იყო თამაში ისე დაეწყო, რომ მის შემადგენლობაში არ ყოფილა პელე. ვინანეთ, რომ ვერ ვნახეთ „შავი მარგალიტი“, მაგრამ მეორე მხრივ საინტერესო იყო — მსოფლიო ჩემპიონი მართლაც მხოლოდ პელეს ჭყლეტით იგებს, როგორც ამას ზოგიერთი სპეციალისტი მიმმხილველი ამტკიცებს, თუ არა?

უსამართლო (თამაშის მსვლელობის მიხედვით), სასტიკი დამარცხების შემდეგ ჩემპიონატის პირველ შეჯიბრებაში, როგორც იტყვიან, უნგრელ ფეხბურთელებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ დარჩენილი. უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა ლაიოშ ბაროტამ მატჩის წინ განაცხადა: „ბრაზილიელები ქალალდზე არიან უფრო ძლიერები, ვიდრე მწვანე მოედანზე. ვეცდებით ეს დავამტკიცოთ“. მართლაც, ბაროტის ალზრდილებმა გაფანტეს მრისხანე ბრაზილიელთა უძლეველობის შარავანდედი. ჩემპიონებმა ამჯერადაც ბრწყინვალედ ითამაშეს, მაგრამ უპირველოდ ძალიან გაუჭირდათ.

პორტუგალიელებთან ორთაბრძოლაში დამარცხების მიზეზი მეკარე სენტმიხაი უნგრელების გელეთ შეცვალეს, ბრაზილიელებმა ნახევარდაცვაში დაიყენეს გერსონი, რომელიც დიდი ხანია მოედანზე არ გამოსულა ტრავმის გამო, ხოლო პელეს ნაცვლად თამაშობდა 19 წლის ტოსტაო. სწორედ ტოსტაომ შეუქმნა უნგრელებს პირველი საფრთხე, რომელიც კინაღამ გოლით დამთავრდა.

პირველად მაინც ბრაზილიელები შეიძრნენ, როცა თამაშის მეორე წუთზე მარკვენა გარეშარმამ თავდამსხმელმა ბენემ მიიღო პიპოშისაგან ბურთი, მოატყუა ალტაირი, შემდეგ ბელინი და ბურთი მეკარე ფილმარის გვერდით შეაგდო ბადეში, ამ ბურთმა, რომელიც პირველ წუთებშივე გაიტანეს. რწმენა შემატა უნგრელთა ყველა შემდგომ მოქმედებას. რაკოშმა მაშინვე აიძულა ფილმარი ბურთი კუთხურზე გაეგზავნა. მაგრამ თხუთმეტ წუთში სამხრეთამერიკელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ლიმამ საჯარიმო დარტყა გარინჩას წაქცევისათვის. ბურთმა დაცვა გაარღვია, რიკოშეტით გადმოვარდა ტოსტაოსთან და მან გოლით დაგვირგვინა.

რა თამაში იყო! უნგრელებმა გამოიყენეს ასეთი ტაქტიკური სქემა: ხუთი კაცი დაცვაში („მწმენდავიანად“). ორი — ნახევარდაცვაში და სამი — წინ. მაგრამ ეს სქემა არაფრით არ გავდა თავდაცვითს ფეხბურთს, რომელმაც ლამის არის ჩაახრჩოს წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიელთა თანავარსკვლავედს უნგრელებმა დაუპირისპირეს საოცრად თავდადებული თამაში. შეუპოვრად და მგზნებარედ თამაშობდნენ მათი ფორვარდები — ბენე, ფარკაში და განსაკუთრებით მატჩის გმირი ალბერტი. რომლებსაც აქტიურად ეხმარებოდა ნახევარდაცვა. ამ შესანიშნავი მატჩის მთელი მსვლელობა ცხადყოფს, რომ ფეხბურთის შინაარსს განსაზღვრავს არა უსულო სქემა, არამედ ძიება. შემოქმედებითი შთაგონება და გამარჯვებისადმი სწრაფვა.

ბრაზილიელები უფრო ორთოდოქსალურ ტაქტიკას იყენებდნენ. ამჯერად მათი ზონალური თავდაცვა შეშინდა: დამცველები ვერ უმკლავდებოდნენ უნგრელ თავდამსხმელებს, რომლებიც საოცარი სისწრაფით მოქმედებდნენ.

უსაფუძვლო არ ყოფილა გაფრთხილება ამის გამო, რომელიც გამოთქმული იყო ბრაზილიელების მისამართით ამახსენებდელი ჩანდინავიის ტურნეს დროს. მხოლოდ ჟილმარი და 37 წლის ჯალმა სანტოსი, რომელიც მეოთხედ მონაწილეობს საფინალო ტურნირებში, თამამობდნენ ადრე მოხვეჭილი სახელის დონეზე. განსაკუთრებით გაგვიცრუა იმედი გარინჩამ.

და მაინც პირველი ტაიმი თანაბარი იყო. ყველაფერი გადაწყდა შესვენების შემდეგ, ამასთან, შეხვედრის მეორე ნახევარში ბრაზილიელები არსებითად ათნი იყვნენ, რადგან ცენტრალურ თავდამსხმელმა ალსინდოომ ძალიან იტკინა ფეხი და პრაქტიკულად არ შეეძლო დამბარობდა პარტნიორებს. 64-ე წუთზე სწრაფი შეტევა, რომელიც ბენემ დაიწყო მარჯვენა მხარეზე, ფარკაშმა დიდებული დარტყმით დაამგვირგვინა. სტადიონის ორიარუსიანი ტრიბუნები, რომლებიც ისედაც სიმპათიით იყვნენ განწყობილი უნგრელი ფეხბურთელებისადმი, აღტაცებით შეხვდნენ ამ გოლს. ცხრა წუთის შემდეგ ბენე აკრძალული ილეთით შეაჩერეს. ინგლისელმა არბიტრმა დენელმა თერმომეტრიანი საჯარიმო დანიშნა. ბურთთან მივიდა მცველი მესეი. მისმა ამხანაგებმა, რომლებიც მოედნის შუა გულში იდგნენ, პირი იბრუნეს: ვაი, რომ ვერ გაატანოსო. მაგრამ მჭუხარე ტაშმა დაადასტურა — ბურთი ბადეშია!

3:1 — უნგრეთის ნაკრებს დაუბრუნდა იმედი, რომ გავა მეოთხედფინალში. ბრაზილიელები პირველად დამარცხდნენ ამ ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატის მანძილზე.

ფეხბურთის ფორუმის შეხვედრები სულ უფრო მძაფრდება და ნერვულ ხასიათს იღებს, ამიტომ გაბშირდა წესების დარღვევის შემთხვევები. გუშინ უკვე დანიშნეს სამი 11-მეტრიანი საჯარიმო. პენალტით გაწესეს ანგარიში ჩილიელებმა (მარკოსი) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან შეხვედრაში და ფრანგებმა (დე ბურგუანი), რომლებიც ურუგვაელებს შეხვდნენ. მიდლსბროში მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტები — კორეელი ფეხბურთელები მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გადარჩენენ დამარცხებას (პაკსონ ჯინი), ლონდონში კი „უაიტ-სიტის“ სტადიონზე ურუგვაელებმა ორი სამასუხო ბურთი გაიტანეს (როჩა და კორტესი) და გაიმარჯვეს, რითაც ფრანგებს მეტად რთული პრობლემა შეექმნათ. ახლა 1958 წლის ბრინჯაოს პრიზიორებმა მეოთხედფინალში რომ გავიდნენ, ინგლისელებს უნდა მოუგონ.

ცნობილია პირველი გუნდი, რომლისთვისაც ტურნირი უკვე დამთავრდა. ეს არის შვეიცარიის ნაკრები, რომელსაც ესპანელებმა მოუგეს ანგარიშით 1:2.

ვინ გავა მეოთხედფინალში?

გუნდების მდგომარეობა

17 ივლისისათვის

პირველი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ინგლისი	2	1	1	0	2—0	3
ურუგვაი	2	1	1	0	2—1	3
საფრანგეთი	2	0	1	1	2—3	1
მექსიკა	2	0	1	1	1—3	1

მეორე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გფრ	2	1	1	0	5—0	3
არგენტინა	2	1	1	0	2—1	3
ესპანეთი	2	1	0	1	3—3	2
შვეიცარია	2	0	0	2	1—7	0

მესამე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კორტუგალია	2	2	0	0	6—1	4
უნგრეთი	2	1	0	1	4—4	2
ბრაზილია	2	1	0	1	3—3	2
ბულგარეთი	2	0	0	2	0—5	0

მეოთხე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	2	0	0	4—0	4
იტალია	2	1	0	1	2—1	2
ჩილი	2	0	1	1	1—3	1
კსდრ	2	0	1	1	1—4	1

მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ დამთავრდა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები ფეხბურთში. შეხვედრები მოეწყო ლონდონში, ბირმინჰემში, მანჩესტერსა და სანდერლენდში.

იტალია — სსრ კავშირი 0:1 (0:0).

ამ დღის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მეოთხე ჯგუფის ლიდერების სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრებთა მატჩი სანდერლენდში. პირველ ნახევარში მოწინააღმდეგენი ნერვიულობდნენ, ხშირად შეცდომებს უშვებდნენ, დარტყმები არ იყო ზუსტი. ტაიმი დამთავრდა ფრად — 0:0.

მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო გამწვავდა. 56-ე წუთზე წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ. გოლის ავტორი იყო ჩისლენკო. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. ბრძოლა სსრ კავშირის ნაკრებმა 1:0 და მეოთხედფინალში გავიდა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა — იაშინი, პონომარიოვი, შუსტერნიოვი, ხუროცილავა, დასილოვი, საბო, ეორონინი, ჩისლენკო, მალაფეევი, ბანნიშევსკი, ჯუსაინოვი.

მექსიკა — ინგლისი 0:2.

პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს მექსიკის და ინგლისის გუნდებს ბაეკრობა ჰქონდათ ლონდონში. მატჩი მოიგეს ინგლისელებმა 2:0.

არგენტინა — გფრ 0:0.

ბირმინჰემში თამაშობდნენ არგენტინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები (მეორე ჯგუფი). შეხვედრის შედეგი ფრე 0:0.

კორტუგალია — ბულგარეთი 3:0 (2:0)

მესამე ჯგუფის ლიდერთა წარმომადგენელი პორტუგალიის ნაკრები შეხვდა ბულგარეთის გუნდს და დამარცხა მეტოქე ანგარიშით 3:0.

ტიტული დაიგრუნა...

ბონი, 16 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). „მთვლელი ოქრო“ მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა ზუსტი სროლის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეობაში — სამატრო პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში. ეს. ასპარეზობა მიმდინარეობს ვისბადენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა ლენინგრადელმა **ვლადიმერ სტოლიპინმა**. პირველი იყო ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სტოლიპინი, გრიგოლ კოსიხი (მოსკოვის ოლქი), მოსკოველი ევგენია რასკაზოვა და კიეველი ალბერტ უდაჩინი.

„მუშაკეთრომა“ დაკა დამთავრდა

მოსკოვში დამთავრდა მსოფლიოს ბოქსელობის გათამაშება ფარიკაობაში. შედეგების უფროვლესობა საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. დაწნეთ გუნდურ პაექრობაში გაიმარჯვა საფრანგეთის გუნდმა, საბჭოთა გუნდი მეორე იყო.

„ა“ კლასის მეორე ჯგუფი

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მოიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

თბილისი „ლოკომოტივი“ ვოლგოგრადში შეხვდა ადგილობრივ „ტრაქტორს“ და დამარცხდა 0:3.

გომელში თამაშობდნენ ბათუმის „დინამო“ და გომელის „სპარტაკი“. გადმარჯვეს მასპინძლებმა 1:0.

ა. პ. სვანიძე

ბარდაიცვალა ცნობილი ქართველი პიანისტი და პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ანდრია პეტრეს-ძე სვანიძე.

რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იგი ერთგულად, ნამდვილი შემოქმედებითი გატაცებით ემსახურებოდა ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებასა და მუსიკოსთა ახალი თაობის აღზრდის საქმეს. მან დიდი წვლილი შეიტანა მშობლიური მუსიკალური კულტურის მშენებლობაში.

ა. პ. სვანიძე დაიბადა 1898 წელს ქ. ქუთაისში. იგი აღიზარდა თბილისსა და ლენინგრადის კონსერვატორიებში, სადაც სწავლობდა პროფესორების ი. ს. აიხენვალდისა და ა. ვ. ნიკოლაევის კლასში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი პიანისტი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა საკონცერტო ესტრადაზე. მისი საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა მასშტაბურობით, სიღრმით, დიდი შინაგანი სიმტკიცით. ძნელია მოკლედ დახასიათოთ ა. სვანიძის პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობა. მან რამდენიმე ათეული ჩინებული მუსიკოსი აღზარდა, რომლებიც ამჟამად წარმატებით ეწევიან მუშაობას მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგში. 1930 წლიდან ა. პ. სვანიძე განუწყვეტლივ მუშაობდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

1956 წლიდან იგი იყო პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 1961 წლიდან არჩეულ იქნა პროფესორად.

ა. სვანიძე შესანიშნავ სულიერი ოვისებების მქონე ადამიანი იყო: მოკრძალებული, კეთილი. ამიტომაც იგი კონსერვატორიის მთელი კოლეგქტივის სიყვარულით სარგებლობდა.

ა. პ. სვანიძის ხსოვნა მარად დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

• რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ •

თეატრები

17 ივლისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე (სეზონის დასასრული. დასაწყისი საღ. 7 ს. და 30 წ.), **სპორტის სასახლე** — ჯაზორკესტრი ეროლ ჰაინსის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით (აშშ). დასაწყისი საღ. 8 ს.

ტელევიზია

17 ივლისი

10.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — 11.40 — ლექცია ფიზიკაში; 13.00 — ლექცია ქიმიაში. 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „კინოეფერალი, 17.40 — გადაცემა — „მეტალურგის დღე“, 18.05 — კონცერტი მეტალურგთა თხოვნით, 18.55 — „კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა — „ბროსე და რუსთაველი“, 19.30 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „სპორტული ქალაქიდოსკოპი“, 21.40 — მხატვრული ფილმი „ფანფან-ტულპანი“, 23.15 — გადაცემათა პროგრამა 18 ივლისისათვის, 23.20 — „საყვარელი მომღერლები“ — ანა მოფო (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.10 — (გადმოცემა მოსკოვიდან) მსოფლიო პირველობა ფეხბურთში სსრ კავშირი-იტალია (გაზმეორებით).

18 ივლისი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „თქვენი შვილი და ძმა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — პატარებისათვის — „ცეროდენას ეკარაბი“, 18.30 — „ეკოალისტთა ოჯახი“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 19.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.20 — კინონარკვევი, 20.00 — განცხადებები, 20.05 — გადაცემა — „განახლებული მიწა“ (გორის რაიონის სოფელი ნადარბაზევი), 20.20 — კინონარკვევი, 20.50 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.10 — მხატვრული ფილმი „თქვენი შვილი და ძმა“, 22.40 — „ვოლები, ქულები, წამები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 9-98-08, 9-08-09, ბ/მგ მდივნის — 9-72-80. ხამდივნოსი — 9 66 10, განყოფილებებისა: მართველი — 9-87-61, პრობლემებისა — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, ოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-98-96.

ჩვენი ბისაბარითი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 06015

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.